სამედიცინო გამოძახებების სტატისტიკა, რომელიც არ საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას

#	*ინც.ტიპი*	*თბილისი (2014)*			*რეგიონი (2014)*		
		იანვარი	*თებერვალი*	*მარტი*	*იანვარი*	*თებერვალი*	*მარტი*
1	ვირუსული ინფექცია	862	1420	877	579	1 120	735
2	ტკივილი	7757	6653	7345	5024	4 655	3 472
3	ჰიპერთერმია	4556	7201	4410	2458	3 780	2 781
4	ნევროტულობა	764	652	787	467	374	523
5	ამბულატორია	929	827	980	5	40	33
6	გვამი	298	705	686	30	74	56
7	საშარდე გზების დისკომფორტი	249	205	245	232	525	240
8	სხეულზე გამონაყარი	245	203	328	61	124	144
9	ნაკბენი ცხოველის	22	676	721	13	10	7

მაგალითად:

1. ვირუსული ინფექცია - სურდო, გრიპი სასუნთქი გზების მწვავე ვირუსული დავადებებია. სიმპტომები: სურდო, ჩახეხილი ყელი, ცემინება, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, სიცხე.

მკურნალობა - გაციებისა და გრიპის საწინააღმდეგო ეფექტური წამლები თითქმის არ არსებობს. ვირუსების წინააღმდეგ ბრძოლას ორგანიზმი თვითონ ახერხებს. უცილებელი საკვები, ძირითადად, ცილოვანი და ნახშირწყლოვანი პროდუქტი და ჭარბი რაოდენობით დაახ.: 1-3 ლიტრი/დღეში თბილი სითხის მიღება.რამდენიმე დღიანი ანამნეზის შემთხვევაში, თუ მდგომარეობა გაუარესდა, პაციენტმა უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს სათანადო დანიშნულების მისაღებად.

2. ტკივილის შემთხვევა:

ართრალგია - სახსრის ტკივილი გამოწვეულია უპირატესად რევმატიზმით. რევმატოიდული ართრიტის მკურნალობა ითვალისწინებს: ანთების საწინააღმდეგო და ბაზისურ თერაპიას; ინდივიდუალურ თერაპიას რევმატოიდული ართრიტის მიმდინარეობის, სიმძიმის, სტადიის მიხედვით. პრეპარატებიდან გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები ინდომეტაცინი, დიკლოფენაკი, იბუპროფენი და სხვა აღნიშნული პრეპარატების გამო ხდება სასწრაფოს გამოძახება მისამართებზე.

ყურის და კბილის ტკივილი-გამოწვეულია სხვადასხვა დაავადებებით. (გარეთა ყურის დიფუზური ანთება, შუა ყურის ანთება, შუა ყურის კატარი, უცხო სხეული ყურში, ყურის ტრავმა და ა.შ)

მკურნალობა - მიმართულია ძირითადი დაავადების მიმართ. ტკივილგამაყუჩებელი, რომლის გამოც ხდება სასწრაფო ბრიგადის გამოძახება ვერ მოხსნის პრობლემას.

კბილის ტკივილს - საფუძვლად შეიძლება ედოს, როგორ თავად კბილის ასევე მისი მიმდებარე ქსოვილების დაზიანება.

მკურნალობა - უნდა მიმართოს სპეციალისტს დიაგნოსტირებისთვის და სათანადო მკურნალობის შერჩევისთვის. სპეციალისტთან მისვლამდე უნდა მიიღოს ტკივილგამაყუჩებელი, რომლისთვისაც არ უნდა ხდებოდეს სასწრაფოს გამოძახება.

პოსტტრავმული და პოსტოპერაციული ტკივილი - მდგომარეობა შესწავლილია სპეციალისტის მიერ, პაციენტს აქვს სათანადო დანაშნულება, ტკივილის კუპირებისთვის გამოიყენება ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები, არ საჭიროებს სასწრაფოს მისამართზე მისვლას.

ბუასილი - ნიშნავს ჰემოროიდალური კვანძების პათოლოგიურ გადიდებას, რომელიც ვლინდება პერიოდული სისხლდენით, ანალური არხიდან გამოვარდნით და ხშირი ანთებით

მკურნალობა - კონსერვატიული (მედიკამენტოზური) და ქირურგიული (როცა გამოხატულია ანემია და კვანძების მწვავე ანთება). სასწრაფო ასეთ დროს ვერანაირ დახმარებას ვერ გაუწევს პაციენტს.

მენსტრუალური - ანუ ალგოდისმენორეა წარმოიქმნება ინფანტილიზმის, <u>საშვილოსნოს</u> არასწორი მდებარეობის, სასქესო ორანოებში ანთებითი პროცესების, <u>ენდომეტრიოზისა</u> და სხვა დაავადებების, ასევე ცენტრალური ნერვული სისტემის მომატებული აგზნების დროს. აღინიშნება ჩვეულებრივ ახალგაზრდა ქალებში.

მკურნალობა - საჭიროა მიმართული იყოს მიზეზის აღკვეთისაკენ, რომელმაც გამოიწვია ტკივილი. სპაზოლიზური და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები, რომლის გამოც ხდება მისამართზე სასწრაფოს გამოძახება.

ნევრალგია - არის ტკივილის შეტევა, რომელიც რომელიმე ნერვის გასწვრივ არის ლოკალიზებული. ნევრალგიის ერთადერთი სიმპტომია სხვადასხვა ინტენსივობის შეტევისებური ტკივილი, რომელიც შეიძლება იყოს მწვავე, მწველი და მოპულსირე. ნევრალგია ვითარდება ტრავმის, გადატანილი ინფექციის, გაციების, ამა თუ იმ ქრონიკული პათოლოგიის შედეგად.

მკურნალობა - კონსერვატიული და ქირურგიული, მკურნალობის შერჩევა ხდება სპეციალისტის მიერ. ტკივილის დროს გამოყენებული უნდა იქნას ტკივილგამაყუჩებელი, რის გამოც მისამართზე არ უნდა გავიდეს სასწრაფო.

3. ჰიპერთერმია - ჰიპერთერმია არის სხეულის ტემპერატურის აწევა 37 გრადუსზე მეტად, რაც რომელიმე დაავადებით არის გამოწვეული. სუფებრილიტეტის შემთხვევაში, როცა გვაქვს თუნდაც რამდენიმე დღიანი ანამნეზი, გამომწვევი დაავადების დიაგნოსტირების და შესაბამისი მკურნალობის მისაღებად პაციენტმა უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს. დიაგნოსტირებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები, რომელსაც სასწრაფო ადგილზე ვერ გააკეთებს.

ეს არ ეხება მწვავედ დაწყებულ ფებრილურ ტემპერატურას (იდენტიფიცირებისთვის საჭიროა კითხვარი).

4. ნევროტულობა - ტერმინი გამოიყენება მრავალი ფსიქოლოგიური დარღვევის აღსანიშნად. დამახასიათებელი სიმპტომებია: გაძლიერებული გულისცემის შეგრძნება, ოფლიანობა, კანკალი, ქოშინი, სუნთქვის გაძნელება, სხეულის სხვადასხვა ნაწილების დაბუჟება და ა.შ.

მკურნალობა - შფოთვითი დარღვევების გამომწვევი მიზეზის დადგენა და სათანადო, სწორი მკურნალობის დანიშვნა სპეციალისტების: ნევროლოგის, ფსიქოთერაპევტის მიერ, მიზეზის გაურკვევლობის შემთხვევაში მკურნალობას წარმართავს იგივე სპეციალისტები.

5. ამბულატორია - თუ პაციენტი თავად ახერხებს გადადგილებას (ანუ მიდის ქვესადგურში) შესაბამისად შეუძლია მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას. ეს არ ეხება იმ პაციენტებს, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში, სხვისი დახმარებით ხვდებიან ფილიალებში.

6. გვამი - სასწრაფოს რეზერვი გარდაცვალების დაფიქსირებისთვის არ უნდა კავდებოდეს. დაფიქსირების ფუნქცია უნდა შეითავსოს პოლოკლინიკებმა.

7. საშარდე გზების დისკომფორტი - გამომწვევია: ინფექციები, კიბოსწინარე დაავადებები (პროსტატიტი), თირკმელ-კენჭოვანი დაავადებები და ა.შ.

მკურნალობა - გამომწვევი მიზეზის დადგენა სპეციალიზებულ კლინიკაში სპეციალისტის მიერ და მიზანმიმართული მკურნალობის ჩატარება. უკვე დიაგნოსტირებულ პაციენტებშიც შარდის შეკავების შემთხვევაში ადგილზე არ კეთდება შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ამ შემთხვევაშიც პაციენტი უნდა გადავიდეს.

8. სხეულზე გამონაყარი-აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა დაავადებამ.

მკურნალობა - აუცილებელია გამომწვევი მიზეზის დადგენა და მიზანმიმართული მკურნალობის ჩატარება გამომწვევის მიმართ, რასაც სასწრაფო დახმარება ადგილზე ვერ შეძლებს.

9. ნაკბენი- თუ ცხოველის მიერ მიყენებული დაზიანებული არე არ არის დიდი ზომის, ნაფლეთოვანი და არ აღინიშნება სისიხლდენა, შესაბამისად არ საჭიროებს სასწრაფოს ჩარევას. ანტირაბიული აცრისთვის 24 საათის განმავლობაში თავად მიმართავს კლინიკას. ნებისმიერი ნაკბენი ჭრილობა ექიმის მეთვალყურეობას და სპეციფიკურ პროფილაქტიკას მოითხოვს, რომელიც უმჯობესია სპეციალიზირებულ დაწესებულებაში ჩატარდეს.

აღნიშნულ ინციდენტის ტიპებზე სასწრაფოს არ გასვლა გამოიწვევს რესურსის გამონთავისუფლებას,დაგვიანებული მისამართების და დაყოვნების დროის შემცირებას,რაც გააუმჯობესებს მუშაობის ხარისხს.

სტატისტიკაზე დაყრდნობით, შსს სსიპ „112“-ის თითოეულ ოპერატორი, 12 საათის (ცვლის) განმავლობაში იღებს დაახლოებით 750 ზარს, აქედან იქმნება საშუალოდ 130 საქმე, ხოლო ყველა დანარჩენი მიღებული და გადარეკილი ზარი (620) მიეკუთვნება არამიზნობრივ შეტყობინებებს.

2014 წლის (იანვარი, თებერვალი, მარტის თვის) სტატისტიკა

#	*ინც.ტიპი*	*თბილისი (2014)*			*რეგიონი (2014)*		
		იანვარი	*თებერვალი*	*მარტი*	*იანვარი*	*თებერვალი*	*მარტი*
1	ვირუსული ინფექცია	862	1420	877	579	1 120	735
2	დისპეპსიური მოვლენები	1092	833	803	27	184	167
3	ტკივილი	7757	6653	7345	5024	4 655	3 472
4	ჰიპერთერმია	4556	7201	4410	2458	3 780	2 781
5	ნევროტულობა	764	652	787	467	374	523
6	ამბულატორია	929	827	980	5	40	33
7	გვამი	298	705	686	30	74	56
8	დიაბეტი	310	370	326	572	647	625
9	საშარდე გზების დისკომფორტი	249	205	245	232	525	240
10	სხეულზე გამონაყარი	245	203	328	61	124	144
11	ნაკბენი ცხოველის	22	676	721	13	10	7
12	ასთმა	367	390	351	428	95	105
13	ალერგია	315	348	410	205	188	200
14	გადაციება	1	1	0	1	3	2
15	გადაყვანა დიალიზზე	12	4	4	0	0	1
16	გონების კარგვის ეპიზოდი	1238	1 322	1 335	527	600	953
17	გული	11743	10 721	11 476	9567	1 922	2 245
18	დამწვრობა თერმული	99	58	61	28	22	29
19	დამწვრობა ქიმიური	5	0	1	0	0	0
20	ელექტროტრამვა	5	3	2	3	5	4
21	თვალის დაზიანება	37	35	40	9	7	16
22	ინტოქსიკაცია საკვებით	807	473	505	543	270	284
23	ინტოქსიკაცია ალკოჰოლით	1631	782	970	664	367	438
24	ინტოქსიკაცია მედიკამენტით	201	191	203	53	59	75

25	ინტოქსიკაცია ქიმიური საშუალებით	56	41	36	13	8	16
26	ინტოქსიკაცია - CO	835	682	807	37	45	41
27	კომა დაუზუსტებელი	17	70	78	3	1	1
28	კომა ნარკოტიკული	5	10	6	0	0	0
29	კომა დიაბეტური	99	103	102	45	43	45
30	კრუნჩხვა	474	489	472	410	411	391
31	მეტყველების არ არსებობა ან მოშლა	516	569	556	99	168	107
32	მოტეხილობა/ ამოვარდნილობა	369	411	381	213	218	245
33	მშობიარე	124	92	101	175	108	115
34	ნაკბენი	3	4	1	37	45	54
35	ნაკბენი ქვეწარმავლის	0	1		0	0	1
36	ნაკბენი მწერის, ფეხსახსრიანის	1	2	14	1	2	6
37	პიროვნება არ გამოდის კონტაქტზე	129	126	155	23	10	17
38	სიმაღლიდან ვარდნა	35	45	46	26	19	48
39	სისხლდენა	640	607	674	779	585	781
40	სისხლდენა ფარული	193	177	187	43	58	36
41	სუიციდის მცდელობა	127	145	221	67	62	60
42	სუიციდი	4	6	6	20	11	22
43	სუნთქვის გაძნელება	3582	3870	3384	2022	2069	2144
44	ტკივილი გულმკერდის არეში	725	701	702	218	196	207
45	ტკივილი მუცელში (მწვავე მუცელი)	3922	3466	3855	580	543	542
46	ტრამვა	776	347	865	69	54	69
47	უგონო	1387	1430	1473	1325	1231	1395
48	უცხო სხეულით ობსტრუქცია	60	66	58	26	23	26
49	ფსიქიური აშლილობა	196	167	199	116	42	55
50	წნევა -დაბალი	989	937	1007	656	807	852
51	წნევა -მაღალი	7267	7087	7625	4554	5015	5941
52	ჭრილობა	775	75	532	255	75	116
53	ჭრილობა სისხლდენით	453	396	743	148	121	162
54	ჭვალი	623	616	729	520	508	583
55	ხველება შეტევით	796	1106	809	309	191	192
56	შეჯახება სხეულის დაზიანებით	379	241	393	262	228	310
57	შეჯახება ქვეითზე	107	70	126	32	39	54

58	დაჭრა	54	52	79	15	17	31
59	ცემა	158	154	283	83	73	100
60	ზოგადი სისუსტე	680	703	756	338	406	440
61	მოყინვა	1	3	0	1	1	1
62	ჰიპოთერმია	52	93	86	21	49	32